


32944 ნახვა

12 მაისი, 2023

## საჭიროა 3917 ხელმოწერა

6083

10000

პეტიცია ხელმოწერები

**ადრესატი:**

საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი

# უარი ეთქვას რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენას და შემოღებული იქნას სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით 2023 წლის 15 მაისიდან საქართველოსთან სავიზო რეჟიმი უქმდება, ასევე იხსნება აკრძალვა პირდაპირ ფრენებზე საქართველოში.

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის მიესალმება რუსეთის ფედერაციის ამ გადაწყვეტილებას.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ვაცნობიერებთ, რომ:

- რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი და მცოცავი ოკუპაცია დღესაც გრძელდება.

- რუსეთი არის აგრესორი სახელმწიფო, რომელიც იპყრობს და ანადგურებს უკრაინის ქალაქებს და კლავს მოსახლეობას.

- რუსეთი სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემულია რუსეთის პრეზიდენტის დაპატიმრების ორდერი.

- მაშინ, როცა ქართველი ხალხი მხარს უჭერს უკრაინას და ქართველი მეომრები ეწირებიან უკრაინის თავისუფლებისთვის ბრძოლას საქართველოს მთავრობის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობების დათბობა არის მოღალატეობრივი ნაბიჯი და მიმართულია სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

- საქართველოში რუსეთის მოქალაქეების უკონტროლო შემოდინება რისკის ქვეშ აყენებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას.

- რუსეთთან დაახლოება ნიშნავს ევროკავშირთან და ცივილიზებულ სამყაროსგან დაშორებას, სტრატეგიული პარტნიორების დაკარგვას, ეკონომიკურად და პოლიტიკურად რუსეთზე დამოკიდებულებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმას და რუსეთის ნაწილად ქცევას.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას

- დააწესოს სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეების შემოსვლაზე

- უარი თქვას რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენაზე.

- უარი თქვას რუსეთთან ფარულ გარიგებებზე და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიიღოს ყველა ზომა ევროკავშირში ინტეგრაციისათვის.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-6811/23
15 05 2023წ. ფურც. 10

პეტიცია №4
15.05.2023.

⚠ პეტიციის გასაჩივრება



(https://manifest.ge/users/6298fe6b4601a16fb289f1e3/კახა-წიქარიშვილი)

პატივისცემით, კახა წიქარიშვილი (https://manifest.ge/users/6298fe6b4601a16fb289f1e3/კახა-წიქარიშვილი)

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის წევრი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ყოფილი

ვრცლად

პეტიციის შექმნა

(https://manifest.ge/petitions/create)

სახელი

გვარი

ელ-ფოსტა

საქართველო

ქალაქი

ხელმოწერა

ხელმომწერების სიის ნახვა (https://manifest.ge/petitions/261833/%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9F%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%



(https://www.facebook.com/groups/688286731799093)

ყურადღება! ხელის მოსაწერად შეავსეთ ზემოთ არსებული ფორმა, კომენტარები არაა განკუთვნილი ხელის მოსაწერად!

კომენტარების ნახვა

## მსგავსი პეტიციები

მოვითხოვთ მიხეილ სააკაშვილის გასამართლებას ჰააგის სასამართლოს მიერ! (https://manifest.ge/petitions/021190/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-

# აქცია პარლამენტის უკან 19:00 საათზე - უარი რუსეთთან პირდაპირ ფრენებს

kakha tsikarishvili <[redacted]>

Mon 5/15/2023 9:00 AM

To [redacted]

[redacted]

[redacted]

მოგესალმებით, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა გავაკეთეთ
პეტიცია https://shorturl.at/gnDKY რომელსაც შემოუერთდა 5989 ადამიანი.

ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, ჩვენ ვართ ჩვეულებრივი მოქალაქეები რომლებიც ვაპროტესტებთ რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენას.

- მაშინ როდესაც რუსული რაკეტები დაფრინავენ უკრაინაში და ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, ჩვენ არ გვაქვს უფლება ვიფრინოთ რუსული თვითმფრინავებით.
- რუსეთთან დაახლოება გამოიწვევს საქართველოს დასანქცირებას და ევროპისგან დაშორებას.

15 მაისს, 19:00 ზე პარლამენტის უკან ვაორგანიზებთ მშვიდობიან აქციას - უარი რუსეთთან პირდაპირ ფრენებს.

აქციის შესახებ ფეისბუკ ივენტს იხილავთ აქ: